



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 940

14/05/2018

ქალაქი ბათუმი

940-05-4-201805141139



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შესყიდული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 თებერვლის №367 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტის თამაზ მურადიშვილის 2018 წლის 11 მაისის №1356-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შესყიდული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 თებერვლის №367 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ზეინაზ კაკაბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) თენგიზ კიკნაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.“.

2. დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

